

ლაგოდეხის მუნიციპალური გენდერული თანასწორობის საბჭოს

სხდომის

ოქმი № 1

07 .02.2019წელი

ქ.ლაგოდეხი

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომის თავმჯდომარე-გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის  
მოადგილე: სალომე ღონღაძე

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრები (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ კარგი მმართველობის“  
თავმჯდომარის მოადგილე: არჩილ როსეფაშვილი.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი: გიორგი  
მესხიშვილი.

დღის წესრიგი:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ადაპტირებული გარემოს  
შექმნის შესახებ

(მომხსენებელი: სალომე ღონღაძე)

2. ქ. ლაგოდეხის ქუჩებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი  
დასახლების იდენტიფიცირების შესახებ.

(მომხსენებელი: სალომე ღონღაძე)

მოისმინეს:

1. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის,  
განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ სალომე  
ღონღაძემ ისაუბრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის  
ადაპტირებული გარემოს შექმნის აუცილებლობაზე. საბჭოს წევრებმა გამოთქვეს  
მოსაზრება, რომ გარდა მუნიციპალური ორგანოებისა , პროცესში უნდა ჩაერთოს  
კერძო სექტორიც და პანდუსები უნდა გაკეთდეს შეძლებისდაგვარად ყველგან.

მოისმინეს:

2. ქ. ლაგოდეხის ქუჩებისა და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი  
დასახლების იდენტიფიცირების შესახებ. სალომე ღონღაძემ საბჭოს წევრებს  
გააცნო ამ მხრივ ქალაქ ლაგოდეხში არსებული ვითარება. ხშირად ჭირს

გადაუდებელი სასწრაფო დახმარების დროულად აღმოჩენა მოსახლეობისათვის, რადგან ვერ ხერხდება მისამართის დადგენა- შეცვლილია ქუჩების სახელწოდება, არაა დანომრილი სახლები, ადმინისტრაციულ ერთეულებში არ დგას დასახლების აღმნიშვნელი ფირნიშები .

დაადგინეს:


რეკომენდაციების შემუშავებისა და საკითხის ეფექტურად გადაჭრის მიზნით, ჩატარდეს შეხვედრა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერთან არსებული სათათბირო ორგანოს - „შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს“ და მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელებთან.

გენდერული თანასწორობის საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე:

გენდერული თანასწორობის საბჭოს

მდივანი:



/სალომე ღონრაძე/

თამარ მუმლაძე /